სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #18-15 ბრძანებით; 20.02.2015

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

რექტორის #44-18 ბრძანებით; 01.06.2018

რექტორის #41-21 ბრძანებით; 06.04.2021

თამბაქოს ნაწარმის მოხმარების წესი

თბილისი

2021

1. წესის მიზანი

ამ წესის მიზანია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) თამბაქოს ნაწარმის მოხმარების პრევენციის ხელშეწყობა, დასაქმებული პერსონალის და სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვა თამბაქოს მომხარებელთა უფლებების და ინტერესების შეულახავად, ასევე ამ წესის ჰარმონიზაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სტანდარტებთან.

2. წესის მოქმედების სფერო

1. ეს წესი მოქმედებს უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებულ უძრავი ქონების საზღვრებში.

2. ეს წესი მოქმედებს ყველა იმ პირის მიმართ, ვინც ჩაიდენს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.

3. წესში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

ა) თამბაქოს ნაწარმი - თამბაქოს ან მისი ელემენტის შემცველი ნაწარმი (გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალწამლო საშუალებისა), რომელიც განკუთვნილია მოსაწევად, დასაღეჭად, საწუწნად ან შესასუნთქად, მათ შორის:

ა. ა) ფილტრიანი სიგარეტი, უფილტრო სიგარეტი;

ა. ბ) პაპიროსი, სიგარა, სიგარელა;

ა. გ) საჩიბუხე თამბაქო, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო;

ა. დ) შესახვევი თუთუნი;

ა. ე) დასაღეჭი თამბაქო, საწუწნი თამბაქო, შესასუნთქი თამბაქო;

ა. ვ) ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველობის მასალა/კატრიჯი/კაფსულა.

4. თამბაქოს ნაწარმის მოხმარების აკრძალვა

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებშიმათ შორის საპირფარეშოებში, ვერანდაზე და შენობის აივნებზე სასტიკად აკრძალულია, როგორც მოსაწევი (მაგ. სიგარეტიდა ა.შ.) ასევე არამოსაწევი თამბაქოს ნაწარმის მოხმარება, უნივერსიტეტში აკრძალულია ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის როგორც ნიკოტინის შემცველი ასევე ნიკოტინის შემცველობის გარეშე მასალის/კატრიჯი/კაფსულა მოხმარება.

5. პასუხისმგებლობა

1. წინამდებარე წესების დარღვევა გამოიწვევს დამრღვევის მიმართ შემდეგი სახის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას:

1.1 წესის დარღვევის პირველ შემთხვევაში ჯარიმა 10 (ათი) ლარის ოდენობით;

1.2 წესის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

1.3 წესის მესამედ დარღვევის შემთხვევაში თანამშრომლების მიმართ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, სტუდენტების მიმართ კი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

2. წინამდებარე მუხლში პირდაპირ გაუთვალისწინებელი პასუხიმგებლობის სახის მოსაწესრიგებლად გამოიყენება უნივერსიტეტის სტუდენტთა ქცევის კოდექსის და შინაგანაწესის დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების წესები.

6. დაკისრებული პასუხისმგებლობის აღსრულება

1. თანხის ამოღება მოხდება პერსონალისთვის გასაცემი ხელფასიდან ერთჯერადი ან განწილვადებული დაქვითვით (ერთჯერადად არაუმეტეს ხელფასის 50%).

2. სტუდენტის მიერ ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, თანხის ამოღება მოხდება სტუდენტის სწავლის საფასურიდან დაქვითვის გზით. დამრღვევი სტუდენტი, დავალიანების დაფარვამდე არ დაიშვება შუალედურ ან დასკვნით გამოცდებზე.

3. იმ პირების მიმართ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირებს, თანხის ამოღება მოხდება აღსრულების იძულებითი ღონისძიებების შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დამრღვევის პასუხისმგებლობა

პირის მიერ აღნიშნული წესის დარღვევის გამო შესაბამისი ორგანოს მხრიდან უნივერსიტეტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. წესის შესრულებაზე კონტროლი

წინამდებარე წესის შესრულების უზრუნველყოფაზე კონტროლს ახორციელებს დაცვისა და უსაფთხოების სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სამსახურის თანამშრომლები დარღვევის აღმოჩენისთანავე ადგენენ სპეციალურ ოქმს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და შემდგომი რეაგირებისთვის გადასცემენ უნივერსიტეტის კანცლერს.

9. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

ამ წესის ამოქმედებისთანავე ძალდაკარგულად გამოცხადდეს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 02 აგვისტოს №17-10 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული ''თამბაქოს მოხმარების წესი''